შაბათი, 14 აპრილი 1907 წ.

ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი—№ 83

კაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთეულ თვეთ მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ბერადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

„ისარი“-ს დღევანდელ ნომერთან ერთად რიგდება ამიერ-კავკასიის რკინის გზის განცხადება მატარებლების მიმოსვლის ახალ წეს-რიგის შესახებ 1907 წლის 18 აპრილიდან. ასეთივე განცხადება დარიგდება კვირის (15 აპრილი), სამშაბათის (17 აპრილი) და ოთხშაბათის (18 აპრილი) ნომრებთან. ვთხოვთ გაზეთის მკითხველებს, გაზეთთან ერთად განცხადებაც მოსთხოვონ გამყიდველებს.

იოსებ, ნოშრევან, მაკრინე, ანნა და სალომე მერკვილაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი სამი—უძვირფასესი მამის, ხოლო უკანასკნელნი — უსაყვარლეს მამამთილის

ნიკოლოზ გიორგის ძე მერკვილაძისას.

გამოსვენება შაბათს, 14 აპრილს, შუა დღის 3 საათზე, (ტფილისი, ყოფიანის ქუჩა, სახ. კარნიევისა, № 34) ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. პანაშვიდის გარდახდის შემდეგ ცხედარს წაასვენებენ რკინის გზის სადგურზე, იქიდან ყვირილის (ზესტაფონის) სადგურზე, ზესტაფონიდან 15 აპრილს დილის 5 საათზე სოფელ ჭალატყეს ჯვარცმის ეკლესიაში, სადაც წირვისადა პანაშვიდის შემდეგ იქვე დაკრძალავენ. (3—50—2)

ქვრივი **მარიამ მიხეილის ასული, იასონ მიხეილის ძე და კარბეზ სიმონის ძე კორძაიებნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფას მეუღლისა, მეორე—ძმისა, ხოლო მესამე—ბიძაშვილის

ანტონ მიხეილის ძის კორძაიასას.

ცხედრის გამოსვენება თავის საკუთარ სახლიდან შაბათს, თორმეტ აპრილს, დილის ცხრა საათზე ს. საჭილავოს ნამწარეულის წმ. გიორგის ეკლესიაზედ, სადაც წირვის შემდეგ დაკრძალული იქნება. პანაშვიდები ყოველ დღე, დილის თერთმეტ საათზედ. (3—44—3)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ, სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—90)

კბილის ექიმი
ი. ზ. ძანდელაკი
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპექტი, სახლი აბუსულაძისა, № 26. (25—ნ.—27)

ექიმი
კ. ი. ბძელიშვილი
იღებს **ყურის, ცხვირის** და **ყელის** ავადმყოფებს დილის 12—1 ს. საღამოთი 5—7 ს. ელისაბედის ქუჩა, № 7. სახლი მეწუღლოვისა. (25—10)

ექიმი
ე. ვაშაკიძე
იღებს შინანდ სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.ე—30)

ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (34)

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—82)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
განსა და ვენერიული. დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით
(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).
მიიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა
მიხეილ აბაკანოვი: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სნფილისი.
ი. ნ. ეგიაზარიოვი: 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.
გ. ა. ტატევოსოვი: 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.
ი. გ. ბეტინოვი: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.
მ. ბ. ბიმანი: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.
ბ. ა. ბეიერი: 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი.
ი. ნ. თუმანოვი: 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:
სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—52)

ქ. ქუთაისში
ბავშვების ექიმი ბადრიძე
ავადმყოფებს მიიღებს დილით 9—12, საღამოთი 5—6 საათამდე, პოლიციის ქუჩა, სახლი ციციშვილისა. (25—ფ.—3)

კვირას, 15 აპრილს, ტფილისის საკრებულოში (სობრანიე) „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ დიტერატურულ ფონდის სასარგებლოდ
ვარლამ ჩერქეზიშვილი წაიკითხავს

ლექციას

რუსულ ენაზე ამ სათაურით: „Развитіе положительнаго женскаго типа у рускихъ поэтовъ и романистовъ“.

ბილეთები იყიდება: 10-დან 3 საათამდე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში (სასახლის ქუჩა), «ნაკადულის» რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტი) და «ისრის» რედაქციაში (ელისაბ. ქ. № 1), კვირას თვით საკრებულოში დილის 10 საათიდან. ბილეთების ფასი 30 კაპეიკიდან 1 მანეთამდე.

დასაწყისი ლექციისა შუადღის 1 საათზე. (3—უ.—2)

თელავში

საჭიროა გაზეთის გამყიდველი. იკითხეთ ვანო პაატაშვილთან. (3—2)

ღვინით ვაჭრობა

ხაშმის მევენახე გლეხთა ამხანაგობა

გლეხის ნაგები

ყველას ხელ მისაწვდენ ფასებში ტფილისში მიეგზავნება ღვინო ჩვენივე დროგით. კახეთის ქუჩა სახლი, № 1. (6—43—3)

ქართველთა საქველ-მოქმედო საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ

ქველმოწირულებას ფულად

მიიღებენ: გამგეობის თავმჯდომარე უგანათლ. კნ. თ. დ. გრუზინსკისა (სასტუმრო „ორიანტი“ 11—1 ს.), თავმჯდომარის ამხანაგი თავ. პ. ი. თუმანიშვილი (განოვის ქუჩა, საკ. სახლი 4—7 ს.) გამგეობის წევრნი: ვ. ი. რცხილაძე (საზ. „კახეთი“ ერევნის მოედანი 10—3 ს.), ა. გ. ჯაბადარი (წიგნ. გამ. ქართველთა ამხან. დიდი ვანქის ქუჩა 9—11 ს. 2½—4 ს.) გ. მ. ლასხიშვილი (რედ. „ისარი“ ელისაბედის ქუჩა სახ. მილოვისა 10—2 ს.), იაკ. ს. ღულაძე (ავლაბრის პროგიმნაზია 10—1 ს.), კნ. ელის. ირ. ჯამბაკურ-ორბელიანისა (გუდოვიჩის ქუჩა № 11. 11—1 საათზე) შიო დედაბრიშვილი (ალექსანდრეს ქუჩა № 43 3—5 ს.).

შემოწირულ ნივთებს მიიღებენ

საზოგადოების კანტორაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-ზნაურთა სახლში 11—1 საათზე. (10—უ.—8)

Ужирилის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ შაბათს აპრილის 28-ს, დილის 10 საათზედ შორაპნის მომრიგებელ მოსამართლ ს დარბაზში (სუდში) დანიშნულია წლიური მორიგი საზოგადო კრება. რადგან ეს კრება მეორედ ინიშნება, ამიტომ კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

განსახილველი საგნები:

1) მოხსენება ზარალის გამომკვლევ კომისიისა;
2) ანგარიშების განხილვა 1906 წ.;
3) განხილვა 1907 წლ. ხარჯთ-აღრიცხვისა;
4) სარევიზიო კომისიის წევრების მოხსენება;
5) არჩევა გამგეობის სამის წევრების ნაცვლად. იოსებ გუნცაძისა, თეოფილე ნანეიშვილისა და მიხეილ გაჩეჩილაძისა;
6) არჩევა საბჭოს ექვსი წევრისა, ნაცვლად ს. გაჩეჩილაძისა, ი. გაბუნიასი, ა. ბებიაშვილისა, ი. ცერცვაძისა და ი. მაღლაკელიძისა;
7) არჩევა სარევიზიო კომისიის სამი წევრისა და მათის კანდიდატებისა;
8) მოხსენება საბჭოსი ი. მაღლაკელიძის დაჯილდოვების შესახებ;
9) განხილვა სხვა და სხვა თხოვნებისა. (3—ნ.—1

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აუწყებს ყველას, რომ ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ამოსარჩევად 1907—1911 წლისათვის, პირველ საარჩევნო ნაწილის (ამ საარჩევნო ნაწილში შედის 1, 2, 3 და 4 საპოლიციო ნაწილი) ამომრჩეველთა საბოლოო სიების დაბეჭდილი ეგზემპლიარები, აგრეთვე თვით არჩევნების წესები და ინსტრუქციები და ბლანკები კანდიდატების ჩასაწერად — შეუძლიან მსურველს მიიღოს ქალაქის გამგეობის კანცელარიაში დილის 10 დან ნაშუადღევის 3 საათამდე ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა. (3—ნ.—2)

ქუთ. სასოფლო-სამეურნეო ამხ.

„კოლხიდა“

აწვდის სოფლის მეურნეობიან **შემოწმებულ აბრეშუმის თესლს,** ცნობილ ფირმებისას; უცხოეთიდან გამოწერილ ბოსტნისა და ბალახების თესლეულობას. (**იონჯა, კოინდარი**), ხეხილების და ყვავილების ნერგებს. იქვე მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ სხვა და სხვა სამეურნეო იარაღი—მეაბრეშუმეობისა, ფუტკრეობისა, ბაღოსნობისა და სხვა. 15 მარტიდან კვირა-პარასკევობით ამხანაგობა გამართავს საუბარს სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საკითხზე. (30—ნ.—29)

დასუსტებულ, ავადმყოფობისაგან განკურნებულ და კარგი ღვინის მოყვარულთა საყურადღებოდ.

უკანასკნელ ხანებში ბევრი ჰყიდის ღვინოს „ყიფიანის ღვინის“ ხ.ხელით. მოვალედ ვრაცხთ ჩვენ თავს, ვაუწყოთ საზოგადოებას, რომ ქუთაისში არსებობს ერთად-ერთი საწყობი ნამდვილ **„ყიფიანის ღვინისა“**, რომელიც ეკუთვნის ლუარსაბ ლუარსაბის ძე ყიფიანს. ყიფიანის ღვინო, რომელიც ს. ხვანჭკარაში მოდის, განსაკუთრებით კარგი თვისებისაა და იმის მსგავსი ღვინო რაჭაში არსად მოდის. ხვანჭკარელი მემამულენი თავადნი დიმიტრი, დათა და მანუჩარ ყიფიანები მთელს თავიანთ მოსავალს ჩვენს საწყობს აძლევენ და სხვაგან ერთ ბოთლსაც არა ჰყიდიან და ამიტომ თუ ვინმე ჰყიდის ღვინოს „ყიფიანის“ სახელით, იგი ხვანჭკარული არ არის. ლ. ლ. ყიფიანის ღვინო იყიდება დაბეჭდილი და წითელ ეტიკეტის ქვეშ აღნიშნულია ფირმის სახელი და წარწერა: „სოფელი ხვანჭკარა“. საწყობი მოთავსებულია ქუთაისის ქალაქის სახლში, ტფილისის ქუჩაზე და ქალაქის აფთიაქის მახლობლად. მსურველთ ღვინო ეგზავნებათ დაუყონებლივ.

ჩვენი ღვინო ყურძნის წმინდა წვენისაა და ყოვლად უზადოა და თუ ვინმე დაგვიმტკიცებს, რომ იგი ბუნებრივი არ არის, მზად ვართ გადავიხადოთ **ჯარიმა 2000 მანეთი.** პრეისკურანტს უფასოდ ვუგზავნით. (10—ყიფ.—3)

ტფილისი, 14 აპრილი

ახლო მომავალში სათათბირო ამნისტიის კანონ-პროექტს განიხილავს. ამნისტიის გარეშემო ამ ჟამად გაცხარებული იდეიური ბრძოლა სწარმოებს კადეტებსა და მემარცხენე პარტიათა შორის. აქამომდე სათათბიროს უმრავლესობა იქითკენ იყო, საითაც კადეტების ლიდერები გაიშვერდნენ თითს. ამნისტიის კანონ-პროექტის ნიადაგზე ძალიან მოსალოდნელია, რომ ეს უმრავლესობა დაირღვევა და სასწორი რუსეთის პარლამენტისა მემარცხენენებისკენ გადიწევს. დღემდე ყველა მემარცხენე პარტიათა შორის სრული თანხმობა თითქმის არც ერთი საკითხის შესახებ არ ყოფილა. ხან რამდენიმე მემარცხენე ფრაქცია, ხან ერთ-ერთი მათგანი და ხან ერთი რომელიმე ფრაქციის ნაწილი, უმთავრესად მშრომელთა ჯგუფის წევრები, კადეტებს ეკედლებოდნენ და ეს უკანასკნელნი ამის გამო საპარლამენტო უმრავლესობას ადგენდნენ.

ამნისტიის შესახებ საქმე ცოტა სხვა გვარად არის. ამნისტიის კანონ-პროექტს აუცილებლად ყველა მემარცხენენი დაუჭერენ მხარს და იქნება ზოგიერთმა კადეტებმაც არ იკისრონ იმისი ჩაფლავება. ამ გვარად მოსალოდნელია, რომ კადეტებს წინამძღოლობა ჩამოერთმევათ და სათათბირო უფრო გარკვეულს ოპოზიციონურს გზას დაადგება, ვიდრე კადეტების დიპლომატიური ოპოზიციაა.

უთანხმოება ამნისტიის შესახებ ცენტრსა და მარცხენა ფრთის შორის საინტერესოა არა მარტო თავის მნიშვნელობით სათათბიროში მომქმედ პარტიების დაკავშირების მხრივ, არამედ ,ემთავრესად თავის შინაარსითა და სათათბიროს საკანონმდებლო უფლებათა გარკვევის მხრივ.

აქვს თუ არა სათათბიროს უფლება, შეიმუშავოს კანონი ამნისტიის შესახებ? —ასეა დაყენებული ამ ჟამად სადავო კითხვა. კადეტების უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ამნისტია ხელმწიფის პრეროგატივაა (განსაკუთრებითი უფლებაა), მემარცხენეები კი ამტკიცებენ, ამნისტია საკანონმდებლო აქტია და ამიტომ სათათბიროს მოქმედების ფარგალში შედისო.

როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, სათათბიროს, არსებულ კონსტიტუციის ძალით, უფლება არა აქვს სახელმწიფოს ძირითად კანონებს შეეხოს. ძირითად კანონების მე-23 მუხლი კი იმას ამბობს, რომ ხელმწიფე იმპერატორს ეკუთვნის უფლება პატიებისაო. აქედან ის დასკვნა გამოჰყავს ცენტრს, რომ ამნისტია ხელმწიფის განსაკუთრებითი უფლებაა და არა სათათბიროსაგან განსახილველი საგანიო.

ამ შეხედულებას არ ეთანხმება მემარცხენე პარტიების გარდა ბევრი იურისტი. ისინი ამტკიცებენ, რომ ამნისტია და პატივება ერთი და იგივე არაა, თუმცა ისინი უფლებრივის ეფექტით (შედეგით) ძალიან ახლო არიან ერთმანეთზეო. მათის აზრით პატივების წყარო წყალობაა, ხოლო ამნისტიისა კი საკანონმდებლო დაწესებულების საქმეო.

არ შეიძლება ვსთქვათ, რომ იურიდიულს მეცნიერებაში ასეთი პრინციპიალური განსხვავება ამნისტიისა და პატიების შუა საყოველთაო ჭეშმარიტებად ითვლებოდეს. პირიქით, ამ მეცნიერებაში ამნისტიის შესახებ გადაჭრილი და უცილობელი აზრი არ არსებობს. ხელმწიფეს ან პრეზიდენტს ისევე შეუძლიანთ სამართლიანობის მოსაზრებით განათავისუფლონ სასჯელისა და სამართლისაგან პოლიტიკური ბრალდებულნი, როგორც წყალობის მოსაზრებით. პატივების მოტივები შეიძლება სულაც არ გამოცხადდეს.

ამისდა მიუხედავად იურიდიული მეცნიერება მაინც არ უარჰყოფს პატიებისა და ამნისტიის შუა პრინციპიალურს განსხვავებას. ეს განსხვავება ყველა იურისტის თვალში არსებობს, თუმცა კი იურიდიული ბუნება ამ განსხვავებისა ჯერ ისევ გამოურკვეველია. განსაკუთრებითის მნიშვნელობისა აქ ის უცილობელი ფაქტია, რომ აბსოლიუტიზმის ქვეყნებში ამნისტია სრულიად არ არსებობს, იქ მხოლოდ პატიება იციან; დემოკრატიულ ქვეყნებში კი, იმისდა მიხედვით თუ რაოდენად არის განხორციელებელი პოლიტიკურს დაწესებულებებში დემოკრატიის პრინციპები, ამნისტია და პატიება ერთმანეთისაგან ასე თუ ისე განსხვავდებიან.

ამ მხრივ ყველაზე წინ დემოკრატიული საფრანგეთი სდგას. საფრანგეთის საკონსტიტუციო კანონის მესამე მუხლი სრულიად გარკვევით და ნათლად ამბობს, პატიება პრეზიდენტის უფლებაა, ამნისტია კი სხვაფერ არ შეიძლება გამოცხადდეს, თუ არა კანონის წესზეო. ეს კი იმას ჰნიშნავს, რომ ამნისტია საფრანგეთის კონსტიტუციით პრინციპიალურად განსხვავდება პატიებისაგან და მხოლოდ საკანონმდებლო დაწესებულებას ე. ი. პარლამენტს შეუძლიან განახორციელოს. ამ ნიადაგზე შემუშავდა საფრანგეთის საკასსატიო სენატის თეორია, რომლის მიხედვითაც პატიება—წყალობაა, ამნისტია კი—სამართლიანობაა.

თუ ისტორიულად შევხედეთ იმ უთანხმოებას, რომელიც კადეტებსა და მემარცხენე პარტიებ შორის არის ატეხილი ამნისტიის შესახებ, ჩვენ ადვილად დავინახავთ შემდეგს. თუმცა უთანხმოება იურიდიულ ტერმინებშია ჩამოყალიბებული, თუმცა პირველის შეხედვით ეს უთანხმოება კანონების განმარტებას და მეცნიერულ თეორიებს ეხება, მაგრამ ნამდვილად ეს უთანხმოება პოლიტიკური ხასიათისაა. აბსოლიუტიზმის მონათესავეებს, მის შეგნებულს თუ შეუგნებელს ძველი რეჟიმის სასარგებლოდ სწადიანთ ახსნან რუსეთის კონსტიტუციის გაჩუმება ამნისტიაზე და ამიტომ ამნისტიას და პატიებას ერთსა და იმავე იურიდიულ ინსტიტუტად სთვლიან. პირიქით რუსეთის დემოკრატიულ ელემენტებს დემოკრატიის სასარგებლოდ ჰსურთ გამოიყენონ ზემოხსენებული გარემოება და ამიტომ პრინციპიალურად განასხვავებენ ამნისტიას პატიებისაგან.

ეხლანდელი სათათბირო პირველ სათათბიროზე უფრო მემარცხენედ ითვლება. სამი მეხუთედი დეპუტატების საერთო რიცხვისა პროგრამების მიხედვით კადეტებზე მარცხნივ სდგანან. მაგრამ ხშირად პროგრამა სრული სარკე არაა პარტიის შემადგენელ ადამიანებისა. ამნისტიის საკითხი საბოლოოდ აჰხდის ნიღაბს იმათ, ვინც საარჩევნო ხმების მისაღებად ჩამოიფხატა თავზე დემოკრატიის ქუდი, ხოლო გულში კი ისევ „კონსტიტუციონურ თვითმპყრობელობის“ მოსარჩლედ დარჩა. ამნისტიის საკითხი გამოარკვევს აგრეთვე მთელი რუსეთის წინაშე კადეტების პოლიტიკურ ვინაობას.

მემარცხენეების უმრავლესობა სათათბიროში

კადეტების დიპლომატიურ ტაქტიკის კრიტიკამ უკვე თავისი ნაყოფი გამოიღო. დღემდე კადეტები თავს თავს სათათბიროს ხელმძღვანელს უწოდებდნენ. მათი მთავარი ორგანო „რეჩი“ მემარცხენეების ყოველ დამარცხების შემდეგ ამაყად სწერდა, დამტკიცდა, რომ სათათბიროში ყოველთვის მოიპოვება ისეთი უმრავლესობა, რომელიც კადეტების წინამძღოლობით ჩვენგან ნაკარნახევ გზას არ ასცდებაო. მართლაც, აქამომდე სათათბიროს უმრავლესობა პირ შეუბრუნებლივ მისდევდა კადეტებს. მემარცხენენი თუმცა რიცხვით გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე ცენტრი, მაგრამ კადეტების გავლენით მშრომელთა ჯგუფი თითქმის ყოველთვის მათთან ერთად იძლეოდა ხმას და საბუთს აძლევდა მილიუკოვის პარტიას ქებათა-ქებით მოეხსენებია თავისი კადეტობა.

ეხლა მდგომარეობა იცვლება. კადეტების საპარლამენტო ძლიერება შეირყა, შეტორტმანდა; მემარცხენეებმა წინანდელზე ნათლად იგრძნეს თავისი ბუნებრივი ნათესაობა ერთმანეთთან და 12 აპრილის სხდომაზე პირველად დაამარცხეს შეერთებულის ძალ-ღონით ცენტრი, რომელსაც ოქტომბრისტების გარდა ამ ჟამად მემარჯვენენიც მხარს აძლევენენ. რაოდენადმე შენგრეულ იქმნა ის ორ თავიანი სიმაგრე, რომელსაც კადეტები აფარებდნენ თავს. ხან მემარცხენეებთან ერთად—მემარჯვენეების წინააღმდეგ, ხან მემარჯვენეებთან ერთად—მემარცხენეების წინააღმდეგო, ამბობდნენ კადეტების ლიდერები და ასე ეგონათ, რომ გამარჯვება ყოველთვის მათ დარჩებოდათ. 12 აპრილს გამოირკვა, რომ მათი ანგარიში შემცდარი ყოფილა, გამოირკვა, რომ მემარცხენეებს თავის საკუთარის ძალით შესძლებიათ შეერთებულ ცენტრის და მარჯვენა ფრთის დამარცხება.

საგულისხმოა, რომ კადეტებმა ეს პირველი დამარცხება მემარცხენეთაგან მუშათა საკითხის ნიადაგზე იგემეს. მემარცხენეები თხოულობდნენ, საჭიროდ ყოფილიყო ცნობილი შეკითხვა პეტერბურგის ერთ-ერთ ფაბრიკის მუშათა გაფიცვის შესახებ, რომლის დროსაც მემარცხენე დეპუტატების სიტყვაი მთავრობის მოხელეებს მუშები გაულახავთ. კადეტების აზრით, აქ დასაჩქარებელი არაფერი იყო, მაგრამ სათათბიროს უმრავლესობა მემარცხენეების გარშემო შემოგროვდა.

რა თქმა უნდა, 12 აპრილს შემდგარი მემარცხენეთა უმრავლესობა ჯერ-ჯეროობით მტკიცე არ არის. მაგრამ ის მაინც საკმაოდ ამტკიცებს, რომ მეორე სათათბირო აუცილებლად ყოველთვის კადეტების გეგემონიის ქვეშ არ იქნება.

სათათბირო და საბჭო

(საგენტოს დეპეშები)

პეტერბურგი. იმ კომისიამ, რომელსაც პიროვნების ხელ-შეუხებლობის კანონ-პროექტის შემუშავება აქვს მინდობილი, მინისტრის ამხანაგის მაკაროვის მონაწილეობით, მიიღო მესამე მუხლი შემდეგის საბოლოო რედაქციით: „არ შეიძლება არავისი შეპყრობა ან დაპატიმრება, ან პირად გაჩხრეკა, ან პოლიციაში დამწყვდევა, ან სხვა გვარად მისი თავისუფლების შეზღუდვა უიმისოდ, თუ არ კანონის ძალით. ამასთან ყველა მოქალაქის თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევას სასამართლოს მიერ დაწერილი დადგენილება უნდა მიუძღოდეს. ამ დადგენილებაში ცხადად უნდა იყოს გამორკვეული ვინაობა დასაპატიმრებელ ან გასაჩხრეკ პირისა, უნდა იყოს აღნუსხული საქმის ვითარება და მუხლი კანონისა, რომლის ძალით აპატიმრებენ“.

სახ. სათათბიროს სხდომა სხდომა დაიწყო 2 საათსა და 9 წუთზე, გოლოვინის თავმჯდომაროებით. სათათბიროს პირველად უნდა გადაეწყვიტა—დანიშნოს თუ არა კვირაცხოვლობის კვირაში მემარჯვენეთა მიერ შეტანილ საკითხის განხილვა. ეს საკითხი შეეხება პოლიტიკურ მკვლელობათა გაკიცხვას. ილაპარაკეს მემარჯვენეებმა ბობრინსკიმ, ეპ პლატონმა, კრუპენსკიმ, ოქტომბრისტმა რეინმა. ყველა ამათ საჭიროდ სცნეს შეკითხვის განხილვა, თანაც დაუმატეს—მთელი ქვეყანა ელის იმის გაგებას, თუ რას იტყვის სათათბირო ამ საკითხის შესახებაო.

ბოლოს საკითხს კენჭი უყარეს და 233 ხმის უმრავლესობით 127 ხმის წინააღმდეგ უარ-ჰყვეს წინადადება შეკითხვის კვირაცხოვლობის კვირაში განხილვა. შეკითხვის განხილვის მომხრენი იყვნენ ს.-რევოლიუციონერები, ს.-დემოკრატები, სახალხო სოციალისტები, ზომიერნი, ოქტომბრისტები და მემარჯვენენი.

წერეთელმა წინადადება შეიტანა, პირველ სათათბიროსავით სასწრაფო შეკითხვები შეტანისთანავე იქნას განხილული. თავმჯდომარის განმარტების შემდეგ, სათათბირომ ხმის უმეტესობით უარ-ჰყო წერეთლის წინადადება.

შემდეგ დაიწყო კამათი საადგილ-მამულო საკითხის შესახებ.

სემენოვმა მასხრული კილოთი დაასურათა მემამულეთა და გლეხთა ურთი-ერთობა და სთქვა—მთელი მიწა მშრომელ ხალხს უნდა ეკუთვნოდეს და სრული თავისუფლება უნდა იყოს, რომ მოისპოს გლეხიც და ბატონიცაო.

ეპის. ეჟდოკი შეეხო ხოლმის რუსეთს და სთქვა, რომ ეს კუთხე უნდა ჩამოშორდეს პოლონეთს და მართლმადიდებელ რუსეთს შეუერთდესო.

მარკოზოვმა სთქვა, რომ მღვდლებსა და მემამულეებს უნდა ჩამოვართვათ მიწა. ამათ თითონ გლეხები მოსცემენ რაც საჭიროა ნება ყოფლობითაო.

ზეინალოვი შეეხო იმ ცრუ აზრს, ვითომ გლეხები სიმთვრალით იღუპებიან და არა მიწის სიცოტავითაო. ზეინალოვის აზრით, შეუძლებელია კულტურის ამაღლება სოფლად მინამდე, სანამ გლეხი არ დარწმუნდება, რომ ხვალ მიწას არ ჩამოართმევენ და სხვას არ გადასცემენ. ორატორი დაწვრილებით შეეხო ბაქოს გუბერნიის აგრარულ და ეკონომიურ ვითარებას.

ბელიაევმა მემარცხენეთა პროექტების წინააღმდეგ ილაპარაკა. იმის აზრით, მიწა რომ გაიყოს, უადგილოებსაც არ ეყოფათ, არა თუ მცირე ადგილიანებს. ამ პროექტების განხორციელებისთანავე სახელმწიფო დაეცემა, შემოსავალი იკლებს, ხარჯი იმატებს და სხვა. სხვა ქვეყნებსაც ააღელვებს ეს ამბავიო.

ავანასიევის აზრით მთელი მიწა მშრომელ ხალხს უნდა გადაეცეს. პეტერბურგი კი არ აჭმევს სოფელს, სოფელი აჭმევს და ჰკვებავს პეტერბურგსო; პეტერბურგის მთელი სიმდიდრე, ფუფუნება და კულტურა, რომელსაც მალმალ ჩაგვჩიჩინებენ მემარჯვენენი, გლეხის შრომის ნაყოფიაო.

ამის შემდეგ სათათბირო მორიგ საქმეებზე გადავიდა. წაიკითხეს ს.-დემოკრატების განცხადება—ბალტიის მხარეში სათათბირომ გაჰგზავნოს გამომძიებელი კომისია. კომისიამ უნდა გამოიკვლიოს რიგის სატუსაღოში მომხდარი ამბები.

ი. გესსენმა სთქვა: რადგან ამ წინადადებით აღიძრა პრინციპიალური საკითხი—აქვს თუ არა სათათბიროს უფლება დეპუტატების გაგზავნა საქმის გამოსაძიებლად, ამიტომ შეკითხვა კომისიას უნდა გადაეცესო.

ადექსინსკი არ დაეთანხმა ამ აზრს.

კადეტოვსკიმ სთქვა, რომ შეკითხვა ბალტიის შესახებ რაღაც რომანსა ჰგავს (თავმჯდომარემ შეაჩერა). ეგ შეკითხვა უნდა დაიხიოსო.

მ. სტახოვიჩის აზრით, ს.-დ. წინადადება ნაადრევია.

შირსკი მომხრეა ბალტიის მხარეში დეპუტატთა კომისიის გაგზავნისა, რადგან კანონი ამას სათათბიროს არ უკრძალავსო.

სათათბირომ დაადგინა, გადასცეს შეკითხვა კომისიას. კომისიასვე გადასცეს ორი არა საჩქარო შეკითხვა.

შეუდგნენ განხილვას მეოთხე საკითხისას. იგი შეეხება ჩეშერას ქარხანაში გაფიცვას და მუშების ცემას.

ადექსინსკიმ შეკითხვას მხარი დაუჭირა და გაფიცვა-ცემა ტყეპის მიზეზად პეტერბურგის ად[illegible]აციის პროვოკატორული მოქმედება აღიარა.

თავმჯდომარემ ორატორს ურჩია, ფრთხილად ილაპარაკოს, რადგან შეიძლება საჭირო გახდეს ამ სიტყვების დამამტკიცებელი საბუთებიო. ადექსინსკიმ კვლავ განაგრძო ლაპარაკი. იგი საკითხს არსებითად ეხებოდა. თავმჯდომარემ რამდენჯერმე შეაჩერა.

ჯემოვმა განაცხადა: მუშების ცემა-ტყეპა შემაძრწუნებელი რამაოა. აღნიშნა, რომ სათათბიროში ამის მაგვარი უკვე სამი შეკითხვაა, რომლის შესახებ კამათი ჯერ არ გათავებულა. ეს საკითხი მეოთხე იქნება. ამიტომ საკითხი კომისიას უნდა გადაეცესო.

სათათბირომ უარ-ჰყო წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ.

შურიშკევიჩმა განაცხადა: ჩემდა საუბედუროდ კადეტების წარმომადგენელს აჯენოვს უნდა მივემხრო, რადგან ყოველნაირი აკლება სათათბიროს ტრიბუნიდან გაკიცხული უნდა იქნასო. ორატორი წინააღმდეგი იყო საკითხის ხელ-ახელ გარჩევისა. ჯერ არ ვიცით, პროვოკატორი ვინაა, პოლიცია თუ ალექსინსკი, რომელიც დაწრწის ქარხნებში და მუშებში აგიტაციას ეწევა (ძლიერი ხმაურობა, თავმჯდომარე ზარის რეკას მოუხშირებს).

სათათბირომ მიიღო განცხადება, რომ ორატორთა ჩაწერა შესწყდეს.

ადექსინსკიმ სთქვა, აღარ შეეხები ჩემ მოქმედებას, რომელიც კარგად იციან „ოხრანნი“ განყოფილებამ და დეპუტატმა პურიშკევიჩმა, (პურიშკევიჩი ტაშს უკრავს) და ვითხოვ საკითხი ხელ-ახელ გაირჩესო. ორატორმა მოისურვა „რუსკოე ზნამია“-დან წერილის წაკითხვა.

თავმჯდომარე: ჩემის აზრით გაზეთის ციტატა საქმეს არ ეხება.

ადექსინსკი: ძლიერაც ეხება.

თავმჯდომარე: მაშ მომეცით, ჯერ მე გავიცნო წერილის შინაარსი.

გოლოვინმა გულდასმით წაიკითხა წერილი და მერე წაკითხვის ნება მისცა.

ადექსინსკიმ წაიკითხა „რუსის ხალხის კავშირის“ თავმჯდომარის ამხანაგის წერილი პეტერბურგის გრადონაჩალნიკისადმი,—მიიღოს ზომები გაფიცვის მოსასპობად. ორატორი ამ წერილში „რუსის ხალხის კავშირის“ ახალ პროვოკაციას ჰხედავს (პურიშკევიჩმა ადგილიდან დაიძახა: „ჩუმად ილაპარაკეთო“).

მელიანოვსკიმ და ბუდატმა, და უკანასკნელმა შრომის ჯგუფ-ს სახელით, მხარი დაუჭირეს შეკითხვის დაუყონებლივ განხილვას.

სათათბირომ ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ კადეტებისა, ზომიერებისა და მემარჯვენეთა, მიიღო წინადადება შეკითხვის დაუყონებლივ განხილვის შესახებ.

დაიწყო შეკითხვის არსებითად განხილვა.

მოხსენებული არითმეტიკული მოქმედება გამოკლებისა რომ მოახდინონ, ვეჭვობ რომ მოსალოდნელი რეზულტატი მიიღონ,—ს წარმოო იარაღთა მდგომარეობა,—რადგანაც ყველა ზემოხსენებულ გამოსაკლებელ „ზერელ მიზეზთაგან და პირობათაგან“ განისაზღვრება უდიდესი ხარისხით თვით საწარმოო იარაღთა მდგომარეობა.

დავანებოთ თავი სპენსერს, ფისკეს, კერის და სხვა მრავალ სოციალისტებს, რომელნიც ფიზიკო-მექანიკურ კანონებზედ ამყარებდნენ მთელი სოციოლოგიის უმთავრესს კანონებს, თუმცა მათ შროგებში მრავალ საგულისხმიერო დემონსტრაციებს შევხვდებით ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზედ კოსმიურ ძალთა გავლენისას. მაგალითად ფისკე ამბობს: სოციოლური ევოლიუციის კანონი ჰგავს ატავისტურ განვითარების კანონს. ცივილიზაცია ანუ სოციალური პროგრესსი არის მხოლოდ მთელი სერია საზოგადოების შეგუებათა გარემოცულ წრესთან. მორალური გძრნობა, რომელიც სრულიად განამტკიცებს სოციალურ კავშირს, არის შედეგი სიამოვნებისა და ტანჯვის გრძნობათა ნელი ორგანიზაციისა და სხვ.[2])—მივმართოთ იმ მწერლებს, რომელნიც უფრო ნათელ ჰყოფენ ადამიანთა საზოგადოებაზე კოსმიურ ძალთა და გეოგრაფიული წრის ზეგავლენას, ურომლისოდაც არ შეიძლება ახსნა სოციალურ მოვლენათა ევოლიუციის მთელი პროცესისა.

[2]) იხილე D-r Fausto Squillace, Le Dottrine sociologiche, არის თითქმის ყველა თანამედროვე და ძველ სოციოლოგთა ნაწარმოების ანალიზი. იხილე ფისკეზედ p. p. 94—95. ფისკე სკვილლაჩეს სიტყვით ეკუთვნის იმ მექანიკო-სოციოლოგიურ სკოლას, რომელსაც შეადგენენ—სპენსერი, ფისკე, მისმერი, სალეს იფერრე, კერი, ვინიარსკი, პარეტო, დემარინის და სხვანი.

რადიჩევმა სთქვა, საკითხს „ფორმულიროვკა“ კარგი არა აქვსო და ურჩია გასწორება.

თავმჯდომარე: საჭიროა მხოლოდ საათათბიროს შეკითხვა მიიღოს და გასწორება ან შეკუთება პრეზიდიუმის ხელ-ში.

რომანოვის აზრის, მუშების ცემა-ტყეპა გაგრძელებაა იმ ბრძოლისა, რომელიც მთავრობისა და ხალხს შორის არსებობს.

შირსკიმ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ს.-რევოლიუციონერების შეკითხვაში დამნაშავედ ბოქაულის თანაშემწე მიხაილოვია გამოყვანელი.

ადექსინსკის აზრით, შეტაკება პოლიციასა და მუშებს შორის შედეგია მთავრობის სისტემისა. ერთი წვენი მუშის სისხლი უფრო ძვირფასია, ვიდრე მინისტრების კანონ-პროექტები. ორატორმა მოითხოვა, დაუყონებლივ შეეკითხნენ მინისტრს.

შიდლოვსკი თანახმაა შეკითხვის მიღებისა, თუ კი შეკითხვაში მოხსენებული ფაქტები მართალიაო.

ბელანოვსკიმ სთქვა: როდიჩევს არ გამოუცდია იმ მძიმე უღელის, რომელის ქვეშ უხდება მუშას შრომა და ამიტომ ვერ მიმხვდარა იმ გრძნობას, რომელიც აიძულებს მუშას ბეჯითად მოითხოვოს საკითხის დაუყონებლივ განხილვა.

კეშელოვსკი: გაზეთებში უკვე სწერენ, რომ სათათბიროს ერთი ფრაქცია მრავალ შეკითხვით სათათბიროს ნაყოფიერ შრომას ხელს უშლისო.

ორატორებმა ლაპარაკი გაათავეს. სათათბირომ ერთ ხმად მიიღო შეკითხვა. თავმჯდომარემ სთქვა, ერთმა ჯგუფმა განცხადება წარმოადგინა თავმჯდომარის უკანონო მოქმედების შესახებაო. განცხადება არ წაუკითხავს და დღიურ დავთარს მიაკერეს. სხდომა გათავდა 7 ს. 5 წუთზე.

შემდეგი სხდომა 13 აპრილისთვისაა დანიშნული.

ახალი ამბავი

—*—

✦ **დახმარება ტუსაღებს.** გვთხოვენ დავბეჭდოთ: „მოახლოვდა აღდგომა ქრისტესი. ტანჯული კაცობრიობა გულის ფანცქალით მოელის ხოლმე ამ დღეს. მოელის იმიტომ, რომ ამ დღეს უკუღმართ ცხოვრებით მოშხამულ ადამიანის გულში ჩნდება სიყვარული და სიხარული. ამ დღეს ივიწყებს ტანჯული ადამიანი სიძულვილს, შურს, ბოღმას, ივიწყებს ცხოვრების სიმწარეს, უუფლებობას და

პირველი შეხედვით ადამიანს ეგონება, რომ ადამიანთა საზოგადოებრივ მოვლენებზედ არავითარი გავლენა არ უნდა ჰქონდეს, მაგალითად, წმინდა კოსმიურ მოვლენათა. მაგრამ, წარმოიდგინეთ, აქაც აღმოაჩინა მეცნიერებამ მძლავრი მოვლენა, ისეთ ნაირად არიან გადახლართულნი ერთმანეთზედ საზოგადოდ ყველა მოვლენანი ბუნებისა ასტრონომიულ მოვლენათაგან დაწყებული სოციალურ მოვლენებამდე. „ის პერიოდი, რომელიც დახასიათდება მზის ლაქების ხან მომატებითა და ხან დაკლებით, არის ერთი იმ კოსმოგონიურ აგენტთაგანი, რომლის გავლენაც ჰავაზედ, მოსავალზედ და კარგან ცუდ წლებზედ იანგარიშეს მეცნიერებმა,—ასტრონომებმა, გეოგრაფებმა და ეკონომისტებმა“-ო[3]) — ამბობს ელიზე რეკლიუ[4]). ბევრი მეცნიერი ძლიერაც გაიტაცა ამ მოვლენამ და ეცადენ კიდეც რაიმე კანონი ენახათ, გამომხატველი კოსმიურ მოვლენათა გავლენისა ადამიანთა ისტორიის მთელი პროცესზედ, მაგრამ რეკლიუსავე სიტყვით, მათი დასკვნანი ჯერ ძლიერ ნაადრევია.—ყოველ შემთხვევაში, საზოგადოდ ძალა კოსმიურ გავლენათა ეჭვს გარეშეა, რაიცა განსაკუთრებით კეტლემ დაამტკიცა თავის დიდ შრომაში. აქ ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ სწორედ ეკონომიურ მოვლენებზე აქვთ უდიდესი გავლენა კოსმიურ ძალთა.

ავიღოთ ეხლა თვით მიწიერი გავლენანი, ესე იგი ტელლურიული წრე. აქ ხომ საზოგადოდ გადამწყვეტი ძალისაა მისი გავლენა. ელიზე რეკლიუს აქვს განსაცვიფრებელი ანალიზი ამ წრის სხვა და სხვაობის გავლენათა, რომელნიც ჰქმნიან

[3]) იხილე განსაკუთრებით კეტლეს შრომა: La Physigue sociale. (შენიშვნა ჩვენია).

[4]) E. Reclus: L'Homme et la terre, p. 349.

ცნებაა, როგორიც ღმერთი დაეშმაკი.

ვხედავთ თუ არა განსხვავებას ერთა შორის, მათ კულტურის შორის, მათ ისტორიის ბედთა შორის, მიუხედავად იმისა, რომ საწარმოო საშუალებანი მათ ერთი და იგივე ჰქონდათ მათი განვითარების განსაზღვრულ მომენტში? მაშ ყოფილა თუ არა **სხვა მიზეზები** მათი განვითარებისა, ესე იგი კრებული ყველა პირობათა და ყველა მიზეზთა მთელი სისტემისა, რომელიც განსხვავდებოდა სხვა და სხვა ერთა ცხოვრებაში?—ამისი პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება, თუ ისტორიის სრული უარ-ყოფა არ გვინდა: ყოფილა ეს განსხვავება, და ამ განსხვავების ხარისხით განიზომება ის სხვა და სხვაობა, მრავალ-ფეროვნება, რომელიც ახასიათებს ერთა ისტორიის მრავალ-ფეროვანებასა და განსხვავებულ ბედს. ყოფილა გავლენა წმინდა კოსმიურ მიზეზთა განსხვავება გეოგრაფიულ პირობათა შორის, ყოფილა განსხვავება რასიული, განსხვავება სხვა ერთა გავლენისა, განსხვავება „შემთხვევით“ პირობათა არსებობისა. შეაერთონ მარქსისტებმა ყველა ეს, მათის ფიქრით, „ზერელი მიზეზნი და პირობანი“, გამოაკლონ საერთო მიზეზთა და პირობათა კრებულს; რომ მარტო საწარმოო ძალთა მდგომარეობა დარჩეს, ამ უკანასკნელის შინაგანი განვითარებით აღსნან შემდეგ როგორც თვით არსებული განსხვავებანი ისტორიათა, ისე ყველა სოციალური მოვლენანი, და მაშინ ნახავენ, რა შედეგი მოჰყვება ამ გვარ ცდას. მარქსიზმის ფორმულის ქეშმარიტების დემონსტრაცია კი მხოლოდ ამ გზით შეიძლება, ყოველივე სხვა გზა ან სიტყვის ბანზედ აგდება, ან „ზედ მოქმედებათა“ წამება იქნება,—ეს კი მარქსიზმის მიერ ნახევრად თავის მკვლელობაა. მაგრამ საქმე ის არის, და ყველაზედ უარესი საქმე მარქსისტებისათვის, რომ ზეადამიანი ეგონებოდეს, ეს ეგონებოდეს, ეს ეგონებოდეს, ეს

მონობას და გაბრწყინვებული, მოღიმარე, სიყვარულით აღსავსე სახით ეგებება ყველას და ყოველს. იმხიარულეთ თავისუფალნო, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ თქვენი ძმები და შვილები, რომელნიც მოკლებულნი არიან ცხოველ-მყოფელ გაზაფხულის სხივებს, მოკლებულნი არიან მას, რაც უძვირფასესი განძია ყოველ ცოცხალ არსებისთვის, მაგალითად—თავისუფლებას და რომელნიც იტანჯებიან შავბნელი ციხის ვიწრო კედლებში. ნუ დაგავიწყდებათ ტუსაღნი. მიაწოდეთ მათ თქვენი წვლილი შეძლების გვარად".

✦ **ჩხრეკა**. გუშინ, 13 აპრილს, პოლიცია, სალდათები და ყაზახები თითქმის მთელს ტფილისს მოედნენ და შეუდგნენ ჩხრეკას. გაჩხრეკას ვერ გადარჩა ელექტრონის ვერცერთი ვაგონი და ეტლი. ჩხრეკა იყო ყველგან: ქალაქის შუა გულში, ვერაზედ, კუკიაში, დიდუბეში, რკინის გზის სადგურთან, ჩუღურეთში, ავლაბარში და სხვაგან. დაიჭირეს ბევრი უმთავრესად უადგილო და უსაქმო ხალხი.

✦ **საქმე მებრძოლ რაზმის წევრთა შესახებ**. გუშინ, 13 აპრილს, ტფ. სამოსამართლო პალატა შეუდგა ახალ პოლიტიკურ საქმის გარჩევას. სამართალში მიცემულია სვანაძე, დარახველიძე და ქურხულები, სულ 5 კაცი, რომელთაც ჰბრალდებათ მებრძოლ რაზმში მონაწილეობა. ბრალდებულთ იცავენ ნაფიცი ვექილები ი. ბარათაშვილი, კ. ჯაფარიძე და ბაღდასაროვი. პალატის დარბაზს იცავდნენ პოლიციელები და ჯარი. საქმე ხალხის დაუსწრებლად ირჩევა.

✦ **საქმე გაფიცვის შესახებ**. ტფ. სამოსამართლო პალატამ 12 აპრილს, საღამოს 8 საათზე, დაამთავრა 9 აპრილს დაწყებული საქმე, განჯის სადგურის მოხელე-მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ. როგორც ვწერდით პასუხის გებაში მიცემულთ ბრალდებოდათ გაფიცვის ბიუროს შედგენა, შეერთება რუსეთის პოლიტიკურ გაფიცვასთან, მიტინგების გამართვა, შეიარაღებულ აჯანყებისაკენ ხალხის მოწვევა, რკინის გზის ერთი რაიონის ხელში ჩაგდება და სხვა. 12 აპრილს პალატამ მოისმინა ვექილებისა და ბრალმდებლის სიტყვები. რამდენიმე საათის თათბირის შემდეგ გამოაცხადეს განაჩენი. პალატამ დამნაშავედ იცნო 10 კაცი. ვასილ მანჯავიძე, ყაზარი ანდრია ჩუმაკი, ლეონიდ რიმკევიჩი, პავლე სპექტირი, კონსტანტინე გრიგოლია, გერონტი ჩლაიძე, არჩილ გონგაძე, მ. კოსენკო, გიორგი დუნდუა და ხარიტონ ჩებანოვი.

სხვა და სხვა განსხვავებულ სოციალურ ტიპი (და ყოველი ხალხის კულტურის დასაბამში საწარმოო ძალთა მდგომარეობა თითქმის ერთი და იგივეა), რომელნიც სხვა და სხვა ევოლიუციას განიცდიან. ცხელ და ცივ ქვეყნებში, უდაბნოებში და წვიმიან ქვეყნებში, მთაში და ბარში, მდინარეთა, ტბათა და ზღვის ნაპირებზე,—სულ სხვა და სხვა ნაირად ვითარდება სოციალური ტიპები, სხვა და სხვა ხასიათს იღებს მათი ეკონომიური, პოლიტიკური და სარწმუნოებრივი განვითარება, აგრეთვე „შემთხვევითი" შეხვედრა ხალხთა ყველა ამასთან ერთად სწყვეტს ამა თუ იმ რასის ანუ ერის ისტორიულ ბედს. „სივრცის წრეს, რომელიც დახასიათდება ათასი გარეგანი მოვლენით, უნდა მიემატოს დროის წრე მისი განუწყვეტელი ტრანსფორმაციებით, მისი დაუბოლოოებელი მოქმედებით თუ დასაწყისი ისტორიისა, როგორც ამბობდა მიშლე, „სრულიად გეოგრაფიული" იყო, გეოგრაფია იქცევა ისტორიად ადამიანის ადამიანზე მუდმივი მოქმედებითო,—ამბობს ელიზე რეკლიუ.[5]) და ეს მოქმედებანი არ იკარგებიანო, სამართლიანად დასძენს იგივე ავტორი. მართლაც, რა საბუთით ამბობენ ზოგიერთი ცრუ სოციოლოგები, რომ ყველა ეს მიზეზები მხოლოდ დასაწყისში თამაშობდენ მძლავრ როლს, მერე კი აღარავითარი გავლენა არა ჰქონიათ ადამიანის განვითარებაზეო? მათ აკვირვებს მხოლოდ ადამიანის პროგრესსი, ის მართლაც დიადი ფაქტი, რომ ადამიანმა ძლიერ ბევრ შემთხვევაში მოიპოვა „ბუნებისაგან ემანსიპაცია", მაგრამ საქმეც ის არის, ეს ემანსიპაცია უბრალო ტრანსფორმაციაა იმავე ბუნების ძალთა, მუდმივი მოქმედება ადამიანის ენერგიისა ბუნების ენერგიაზე, ურომლისოდაც ადამიანის ენერგიას არავითარი წყარო არ ექმნებოდა დახარჯული ენერგიის რაოდენობის შესავსებად. გარდა ამისა, როგორც არ უნდა გამოსცვალოს ადამიანმა გარემოცული წრე, ყოველთვის საჭიროა ეს განსაზღვრული წრე, რომელზედაც მოქმედება ადამიანის ენერგიისა წარმოადგენს სიფუძვლს საზოგადოებისას,—„ტერიტორიას და მცხოვრებთ", როგორც ამბობს დე-გრეფი, ანუ „სოციალურ მოსახლეობას", როგორც ამბობს გიდდინქსი. მართალი შენიშვნები მოჰყავს რეკლიუს სხვა-და-სხვა მეცნიერთა: „პლატონეტის სხვა-და-სხვა ნაწილთა განსხვავებულმა ხასიათმა შექმნა ადამიანის ისტორია", — ამბობს ჰ. დრიუმმონდი. „ცხოვრება წრესთან შეთანხმებაა",—ამბობს დე-გრეფი. „მიწის ნიადაგი—მთელი ხალხია, ამბობს იერინგი. ყოველივე ეს სრული ჭეშმარიტებაა მისთვის, ვისაც ადამიანის აზროვნების ნაყოფთან რაიმე კავშირი აქვს. გეოგრაფიული წრე დინამიკური წრეა, სადაც ვითარდება ადამიანთა საზოგადოება. ამასთანავე სტატიკური ნაწილი ამ დინამიკური წრისა,—რომელიც კონეტიურ ნაწილთან ერთად განსაზღვრავს მთელი საზოგადოების ევოლიუციის. სოციოლოგის ანალიზის როლიც ის არის, რომ დროისა და სივრცის მიხედვით გამოიკვლიოს როლი ამ სტატიკურ და კონეტიკურ პირობათა, შექმნას სოციალური დინამიკა. საწარმოო საშუალებათა განვითარების ისტორია კი სოციალური დინამიკის ერთი ნაწილია მხოლოდ.

მასპერომ თავის დიდ შრომაში, „აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია"-ში ეგვიპტის მაგალითით სრულიად ნათელჰყო გეოგრაფიული წრის როლი ისტორიაში. ლ. მეჩნიკოვმა აგრეთვე თავის მშვენიერ წიგნში „ცივილიზაცია და დიდი ისტორიული მდინარენი" თვალ-საჩინო გახადა და დიადი ისტორიული როლი მდინარეთა, და ის იმ დასკვნამდისაც მივიდა, რომ კაცობრიობის განვითარება ეთანხმება ცივილიზაციის გადატანას დიდ მდინარეთა ნაპირებიდან ზღვებზედ და ოკეანებზედ. მისი სიტყვით იყო პერიოდი დიდ მდინარეთა ცივილიზაციისა, პერიოდი ხმელთა შუა ზღვისა, ინდოეთის ოკეანისა, ატლანტიის ოკეანისა და დიდი ოკეანისა,—და სხვა მრავალი საგულისხმიერო შენიშვნები აქვს ავტორს ამ საგანზედ. და ამასთანავე საზოგადოდ ძველ ხალთა განვითარება ამტკიცებს, რომ თვით საწარმოო საშუალებათა ინიციალური მდგომარეობა იცვლება არა მისი განვითარების შინაგანი კანონებით, არამედ სტატიკურ და კინეტიკურ წრეთა ცვალებადობის მიხედვით. არასოდეს ევროპისა და აზიის ნაწილის ხალხთა სიმდიდრემდის, ხელოვნებამდის და საზოგადო განვითარებამდის არ მიუღწევია კაცობრიობის დანარჩენს, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი არც უფრო ყაწვილნი იყვნენ პირველებზედ, არც ინიციალური მდგომარეობა საწარმოო საშუალებათა იდგა უფრო მაღლა პირველთა შორის, ვიდრე დანარჩენ ქვეყნებში.

ამავე აზრისა არის შესანიშნავი სოციოლოგი გილიომ დე-გრეფი. მისი აზრითაც ტერიტორია და ადამიანი არის ორი საზოგადო გარეგანი ფაქტორი სოციალური მეცნიერებისა. ტერიტორია და ყველა მისი განსაკუთრებული თვისებანი—პირობანი არიან, რომელნიც განსაზღვრავენ პირველ ყოფილ განვითარებასა და გავლენა აქვსთ განვითარებულ საზოგადოებაზედ. ადამიანები განირჩევა ერთმანეთისაგან სხვათა შორის რასიული წარმოშობით, რასა კი, როგორც ამბობს ელიზე რეკლიუ, თვით არის შედეგი ადამიანთა სხვა და სხვა ჯგუფებზედ სხვა და სხვა პირობათა ზეგავლენისა.

ადგილი რომელიმე ტერიტორიისა დედამიწის ზედა-პირზედ, განსხვავება დღე და ღამისა ამ ადგილის განსხვავების თანახმად, განსხვავება ტემპერატურისა, ნიადაგისა, ჰაერისა და სხვათა გამოიწვევს განსხვავებას ჩვენს მატერიალურ, მორალურ და საერთოდ სოციალურ ცხოვრებაში სხვა ერებთან შედარებით. „ფიზიკური გეოგრაფია, რომელიც ვიწროდ არის შეკავშირებული ასტრონომიასთან, საფუძველია სოციოლოგიისა, როგორც გეომეტრიაა საფუძველი ფიზიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა. იგი აღწერავს კონფიგურაციას, აღნიშნავს საზღვრებს, ტერიტორიათა მდგომარეობას, განსაზღვრავს სივრცეთა, ახსნის მთელი დედა-მიწის სისტემას, მის ნაწილთა განწყობილებათა და დამოკიდებულებათა",—ამბობს დე-გრეფი[6]), და მრავალი მაგალითებით ამტკიცებს ყველა ამ მოვლენათა ზედ მოქმედებას ადამიანთა ისტორიაზედ.

საბერძნეთი რომ კარი არ იყოს აღმოსავლეთისა, თავის დღეში ცივილიზაცია ვერ გაეშურებოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთს, მცირე აზიიდან იონიისა და დიდი საბერძნეთის გზით გალლიისაკენ. რომის ბედი თავდაპირველად განისაზღვრა აგრეთვე მისი გეოგრაფიული პირობებით. შემდეგ მისი განვითარება სრულიად დამოკიდებული იყო მის ნაპირთა განვითარებაზედ,—რომი გემების სასიარულო მდინარეზედ იყო გაშენებული, ცენტრი იტალიისა კი ვერ გახდა ვერასოდეს დიდ-პოლიტიკურ და სავაჭრო ცენტრად მიმოსვლის სიძნელის გამო.

აგრეთვე იტალიისა და ისპანიის განსაკუთრებულმა მდგომარეობამ შეუწყო ხელი იმ გარემოებას რომ ამერიკა ამ ხალხმა აღმოაჩინა და შეუერთა ევროპას პირველად. ამ აღმოჩენას კი ყველამ იცის თუ რა გავლენა ჰქონდა არა თუ მარტო თვით კაპიტალიზმის აღმოცენებაზედ, არამედ ევროპის მთელ ევოლიუციაზედ, მსოფლიო ისტორიაზედ.

მთელი ევროპის განსაკუთრებული გეოგრაფიული და კლიმატიური პირობები არ იყვნენ მიზეზნი მისი საერთო ძალისა, რომ საბერძნეთის დროიდან დაწყებული მის სხვა და სხვა ნაწილებში ცივილიზაცია არა ჰქრება და ბოლოს მთელი ქვეყნის ბატონი შეიქმნა? კიდევ რამდენი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა ამ ჭეშმარიტების დასამტკიცებლად. ძველსა და ახალ ისტორიკოსებსა და გეოგრაფებს, განსაკუთრებით რიტტერს, რეკლიუს, ბოკლს, მასპეროს, სოციოლოგ დე-გრეფს[7]) და სხვათა სავსებით აქვთ შესწავლილი ეს საკითხი, და ვინც მათ შრომებს იცნობს, მისთვის საკითხი დამტკიცებით არის გარკვეული. მაგრამ მარქსისტებისათვის ესენი ხომ ბურჟუა-მეცნიერები და უტოპისტები არიან! რუსეთში და ჩვენში კი გამოდგება ვიღაც კადნიერი და, ისიც სხვისი პირით, ცუდად გაგებულ ფრაზას წამორონშავს: გეოგრაფიულ და სხვა პირობათა სოციალურ ევოლიუციაზედ გავლენა არა აქვთ, მათი კანონები სულ სხვაა, სოციოლოგიური სულ სხვაა. ის კი არ იციან, რომ კანონთა სპეციალობა სხვა და სხვა მეცნიერებაში—სხვა და სხვა მოვლენათა ურთიერთზედ გავლენის გართულების მაჩვენებელია უწინარეს ყოვლისა. მაგრამ დავანებოთ მათ თავი, რადგან არ იციან რას ამბობენ.

Bâton.

(შემდეგი იქნება)

---

[5]) ibid. p. 116.

[6])L' Introduction á la Sociologie, t. I. p. 56.

[7]) ყველა თავის შრომებში ამტკიცებს ეს უკანასკნელი ამ ჭეშმარიტებას. იხილე მისი სპეციალური შრომა: l'Evolution des Croyances et des doctrines politiques, l'Introduction á la Sociologie et Le transformisme Social" და სხვანი.

ბრალდებულთ მიესაჯათ დაპატიმრება: პირველ ოთხს ორ-ორი წლით, შემდეგ ექვს—თითო წლით, ხოლო უკანასკნელს—რვა თვით. დანარჩენნი: ინჟინერები კულენდა და კამიშვირცევი, მემანქანენი ისონ კალოიანი, ვლადიმერ რიმკევიჩი და ვ. შენგელია, ფერშალი პლატონ კლიმიაშვილი, ობერ კონდუქტორი ალექსანდრე ხოფერია და სხვანი, სულ 11 კაცამდე, პალატამ გაამართლა.

✦ **გაზეთის დაკეტვა და ახალი გაზეთი**. 12 აპრილს ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაიკეტა რუსული გაზეთი „ზაკავკაზიე". მიზეზი „მავნე მიმართულება და ცრუ ხმების დაბეჭდვაა". გუშინ, 13 აპრილს, ტფილისში გამოვიდა ახალი რუსული გაზეთი „ტიფლის"-ი.

✦ **შეტაკება მუშათა შორის**. როგორც „დროს" და სომხურ გაზეთ „ფილაკ"-ს ატყობინებენ, ბათუმში მუშებს შეტაკება მოსვლიათ. მოუკლავთ ორი სომეხი, დაუჭრიათ ორი სომეხი და ორი ქართველი.

✦ **ახალი საზოგადოება**. კავკასიის საოჯახო მრეწველობის კომიტეტის მდივნის ა. ს. ფირალოვისა და ა. ა. ქალანთარის მეთაურობით ტფილისში დაარსდა კავკასიის სომეხთა საოჯახო სამრეწველო საზოკადოება, რომელსაც აზრად აქვს ხელი შეუწყოს საოჯახო მრეწველობის განვითარებას სომეხ მცხოვრებთა შორის საზოგადოებას უკვე გაუმართავს სახელოსნო, სადაც ამ ჟამად რამდენიმე ქალი და კაცი სწავლობს ქსოვას და სხვა ხელობას. ოფიციალურად ეს საზოგადოება მოქმედებას დაიწყებს 15 აპრილიდან. უკვე დაიქირავეს გრიბოედოვის ქუჩაზე იზმიროვის სახლში საღგომი. ამ დღეს მოხდება კრება.

✦ **ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებანი**. ვიატკის გუბერნიაში იგზავნებიან: ორის წლით ივანე სულიკაშვილი, დავით ბასილაშვილი, ფარნაოზ ბანდილაძე, პორფირე ბაქრაძე და მამედ-პაქი-ბეკოვი. ეტაპით საგ.-გუბერნატოროდან იგზავნება სიმონ ბაკურაძე, რომელსაც ჰბრალდება აგიტაცია სასმელ დუქნების მუშებს შორის.

✦ **დადგენილება**. ტფ. ნოქართა პროფესიონალურ კავშირის ბიუროს, გაზეთების სიტყვით, დაუდგენია, კვირას, 15 აპრილს, ბზობა დღეს, მაღაზიები არ გაიღოს.

✦ **გაფიცვა**. კრწანის და ორთაჭალის ბაღების მუშებმა 9 აპრილს შესწყვიტეს მუშაობა და მოთხოვნილებანი წარუდგიათ ბაღის პატრონებს. სხვათა შორის ითხოვენ: სამუშაო დღის განსაზღვრას (დილის 6 საათიდან საღამოს 6 საათამდე), ღამე მუშაობის მოსპობას, კვირაუქმე დღეებში დასვენებას, ხორცის საჭმელს კვირაში სამჯერ, აბანოს ფულს, ერთის თვის თავისუფლებას წელიწადში, ზრდილობიან მოპყრობას. მუშები დღესაც განაგრძობენ გაფიცვას.

✦ **ტფ. ოდქის სასამართლოს თავმჯდომარე ფემერმანი** დანიშნა ტფ. სამოსამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

✦ **ორ აპრილს კადადებული წარმოდგენა „რენესანსის"** თეატრში, გაიმართება ავდაბრის თეატრში ექვს მაისს. ვისაც ორ აპრილის ბილეთები აქვთ აღებული, შეუძლიანთ ისარგებლონ ექვს მაისს.

✦ **როგორც კადმოგვცეს**, 12 აპრილს ტფილისში გაფიცულან მენადრეები და მესაზანდრეებისთვის მოთხოვნილებანი წარედგინათ. მოუთხოვნიათ თუმანზე ორი მანეთი.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომრის პრესაში სწერია: „იცოდნენ კი, რომ სოციალისტური ეთიკა ისეთი საკანია" და სხვა. უნდა იყოს: „იცოდნენ კი, რომ სალიტერატურო ეთიკა ისეთი საკანია" და სხვა.

ქუთაისის ქრონიკა

✦ ის, რაც ამ ჟამად ქუთაისში ხდება, უზომოდ ავიწროვებს მოქალაქეთ. რეპრესიებმა ყოველის მხრით შეავიწროვა ხალხი—ღამე სახლში უნდა იყო ჩაკეტილი, ხოლო დღე რომ მოინდომო სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა და გასეირნება, ესეც შეუძლებელია, რადგან ერთად-ერთი სასეირნო ადგილი ბულვარი, მოქალაქეთ 11 აპრილს დაკეტილი დახვდათ. ის და გვაკლია, რომ ქუჩებზე მოძრაობა აგვიკრძალონ და მაშინ, ხომ 40,000 ქალი და კაცი დატუსაღებული იქნება.

✦ 10 აპრილს უბნის ზედამხედველ ხარბედიას ორპირის ქუჩაზე საღამოს პირად თავს დაესხა რამდენიმე კაცი. ასტყდა სროლა. ხარბედია უვნებლად გადარჩა, ხოლო თავზე დამსხმელებს, როგორცა სჩანს, პატრონები გამოჰლევიათ; მათ რევოლვერები დაჰყარეს და მიიმალნენ. ხარბედიამ და გოროდოვიმ სროლა ასტეხეს. ხალხი მეტად შეშინდა.

✦ ნოქრებს წარუდგენიათ ძმ. ოცხელთათვის მოთხოვნილება, რომ ქონებრივად უზრუნველ ჰყავიო მოკლულ ნოქრის გაბუნიას დედა და დები, რომელ-

---

ᲐᲠᲔᲡᲘ

გუშინ ჩვენს გაზეთში მოყვანილი გვქონდა ტფილისის პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ საბჭოს დადგენილება, რომ კავშირების მომავალ კონფერენციაზე ყველა პარტიის წარმომადგენლები იქმნან მოწვეულნი და არა მხოლოდ სოციალ-დემოკრატები. ეს სამართლიანი და „უპარტიო" პროფესიონალურ კავშირების შესაფერი დადგენილება გაზ. „ლახვარის" პუბლიცისტებს, როგორც მოსალოდნელი იყო, არ მოსწონებიათ. ბ-ნმა ი. ბ—ძემ ამ საკითხს უძღვნა განსაკუთრებული წერილი სათაურით „რა საჭირო იყო", რომელშიაც ამტკიცებს, რომ პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ საბჭოს მხოლოდ ისეთი პარტიების წარმომადგენლები უნდა მოეწვია, რომელსაც პროლეტარიატზე გავლენა აქვსო.

„უნდა მოწვეულ იქმნას მხოლოდ ისეთი პარტიების წარმომადგენელები, რომლებსაც გავლენა აქვთ პროლეტარიატში და რომლის დასწრება კონფერენციაზე მეტს ავტორიტეტს შემატებს ამ უკანასკნელს მასსის თვალში.

ალ იწვევენ ამა თუ იმ პარტიის წარმომადგენლებს არა იმიტომ, რომ ეს პარტიები არსებობს დედა-მიწის ზურგზე, არამედ და მხოლოდ იმიტომ, რომ მათ გავლენა აქვთ ... ლეტარულ მასსაზე".

გასაოცარია, მეტი რომ არა ... ასეთი არგუმენტაცია „ლახვარის"-ს პუბლიცისტისა. მას ხალხზე გავლენის მოპოვება მიზნად დაუსახავს და მზად არის ყველაფერი მსხვერპლად შესწიროს ამ მიზანს. რა უყოთ, თუ პროფესიონალურ კავშირებს მრავალი ისეთი საკითხი აქვს გამოსარკვევი, რომელშიაც სხვა სოციალისტური პარტიებიც დიდს საშსახურს გაუწევენ? მათ გავლენა არა აქვთ ხალხზე და ამიტომ მათი მოწვევაც ყოვლად შეუძლებელია. სამაგიეროდ, თუ მოხდა როგორმე და „წმინდა რუსთა კავშირმა" დიდი გავლენა მოიპოვა ხალხზე, მაშინ იმათ კი უანთუოდ მოიწვევენ, არავითარ ყურადღებას არ მიაქცევენ იმ გარემოებას, რომ პროფესიონალური კავშირები „რუსთა კავშირის" დახმარებას სრულიად არა საჭიროებენ. აღიარა რა, რომ კონფერენციაზე მოწვეულ უნდა იქმნას მხოლოდ იმ პარტიის წარმომადგენლები, რომლებსაც პროლეტარიატზე გავლენა აქვსო, „ლახვარი"-ს პუბლიცისტი ი. ბ—ძე თავის წერილს განაგრძობს და აცხადებს:

„ცენტრალურ საბჭოს მიერ ჩამოთვლილ პარტიებში მხოლოდ სოციალ-დემოკრატიასა და დაშნაკცაკანებს აქვთ გავლენა პროლეტარულ მასსაზე: დანარჩენებს არავითარი გავლენა არა აქვთ და ზოგი მათგანი ახლოსაც არ მიჰკარებია პროლეტარიატს."

მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატია დაშნაკცაკანებს ზურგზე ბოლს ადენდა, ბურჟუაზიულ და რეაქციონურ პარტიის დიპლომს აძლევდა, ეხლა იძულებული ხდება გვერდზე ამოიყენოს იგი და პროფესიონალურ კავშირების მომავალ კონფერენციაზე წარმომადგენლების უფლება მიართვას. ეს კი მოხდა იმიტომ, რომ თითონ სოც.-დემოკრ. ძალიან ყალბს ნიადაგზე სდგას. მისის აზრით, პროფესიონალურ კავშირების მომავალ კონფერენციაზე მხოლოდ იმას შეუძლიან მიიღოს მონაწილეობა, ვისაც ძალა აქვს. „ლახვარის" პუბლიცისტს ი. ბ—ძეს ის საანბანო ჭეშმარიტება დავიწყებია, რომ ამა თუ იმ პარტიის სიძლიერე და სუსტე დროებითია. დღეს თუ სოციალ-დემოკრატები და დაშნაკცაკანები არიან ძლიერნი, ხვალ შეიძლება სხვა პარტიები იყვნენ. ამიტომ, პროფესიონალური კავშირები გაუსწორებელ შეცდომას ჩაიდენენ, თუ თავის მოქმედებას ამა თუ იმ

ხმა აღმოაჩინა და შეუერთა ევროპას პირველად. ამ აღმოჩენას კი ყველამ იცის თუ რა გავლენა ჰქონდა არა თუ მარტო თვით კაპიტალიზმის აღმოცენებაზედ, არამედ ევროპის მთელ ევოლიუციაზედ, მსოფლიო ისტორიაზედ.

მთელი ევროპის განსაკუთრებული გეოგრაფიული და კლიმატიური პირობები არ იყვნენ მიზეზნი მისი საერთო ძალისა, რომ საბერძნეთის დროიდან დაწყებული მის სხვა და სხვა ნაწილებში ცივილიზაცია არა ჰქრება და ბოლოს მთელი ქვეყნის ბატონი შეიქმნა? კიდევ რამდენი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა ამ ჭეშმარიტების დასამტკიცებლად. ძველსა და ახალ ისტორიკოსებსა და გეოგრაფებს, განსაკუთრებით რიტტერს, რეკლიუს, ბოკლს, მასპეროს, სოციოლოგ დე-გრეფს[7]) და სხვათა სავსებით აქვთ შესწავლილი ეს საკითხი, და ვინც მათ შრომებს იცნობს, მისთვის საკითხი დამტკიცებით არის გარკვეული. მაგრამ მარქსისტებისათვის ესენი ხომ ბურჟუა-მეცნიერები და უტოპისტები არიან! რუსეთში და ჩვენში კი გამოდგება ვიღაც კადნიერი და, ისიც სხვისი პირით, ცუდად გაგებულ ფრაზას წამორონშავს: გეოგრაფიულ და სხვა პირობათა სოციალურ ევოლიუციაზედ გავლენა არა აქვთ, მათი კანონები სულ სხვაა, სოციოლოგიური სულ სხვაა. ის კი არ იციან, რომ კანონთა სპეციალობა სხვა და სხვა მეცნიერებაში—სხვა და სხვა მოვლენათა ურთიერთზედ გავლენის გართულების მაჩვენებელია უწინარეს ყოვლისა. მაგრამ დავანებოთ მათ თავი, რადგან არ იციან რას ამბობენ.

Bâton.

(შემდეგი იქნება)

---

[7]) ყველა თავის შრომებში ამტკიცებს ეს უკანასკნელი ამ ჭეშმარიტებას. იხილე მისი სპეციალური შრომა: l'Evolution des Croyances et des doctrines politiques, l'Introduction á la Sociologie et Le transformisme Social" და სხვანი.

„ძლიერ“ პარტიას დაუქვემდებარებენ. პროფესიონალური კავშირები მტკიცე უპარტიო კავშირები უნდა იყოს და ყოველ განზრახვას ამა თუ პარტიისას, თავის გეგემონია განამტკიცოს კავშირებში,—იგი პროტესტით უნდა გაუმასპინძლდეს.

რუსეთი

✦ **სამხედრო კავშირი.** ამ ბოლო დროს პეტერბურგში ჩხრეკა-დატუსაღების გაძლიერების დროს პოლიციამ დაატუსაღა 30-მდე კაცი და ქალი, რომელიც სამხედრო კავშირს ეკუთვნიან. აღმოაჩინეს სხვა და სხვა დოკუმენტები, რომლებიდან სჩანს, რომ სამხედრო კავშირს ჰქონია რამდენიმე საიდუმლო სტამბა, სადაც იბეჭდება კავშირის ორგანო სათაურით „სამხედრო კავშირი“, „ყაზარმა“ და სხვა და სხვა ფურცლები, სალდათებ შორის დასარიგებლად დანიშნული. პოლიციამ ხელში ჩაიგდო აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, რომ კავშირს რუსეთის სხვა და სხვა ადგილას განყოფილებები აქვს, რომელთა აღმოსაჩენად პოლიციის დეპარტამენტმა გაჰგზავნა რამდენიმე აგენტი. ამავე დროს პოლიციის საიდუმლო აგენტები გულმოდგინედ ეძებენ პეტერბურგსა და იმის ახლო-მახლო ადგილებში კავშირის საიდუმლო სტამბებს.

✦ **ლოძის ამბები.** გაზეთებში მოთავსებული იყო მოკლე ცნობები მუშათა შორის ლოძში მომხდარ შეტაკებათა შესახებ, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ იყო განმარტებული ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზები. ამ საკითხს ეხება ახლა გაზ. „რუსკ. ვედ.“-ის კორესპონდენტი და სცდილობს აღმოაჩინოს ამ სამწუხარო ამბების იდუმალი ჩარხი. ყველაზე მეტი ძალ-მომრეობა მუშათა შორის ლოძის განაპირა უბანში—ბალუტაში მომხდარა, სადაც საშინელი სიღარიბე ბუდობს და ქალაქის მსხვერპლი მაწანწალა ხალხი ფუსფუსებს, რომელსაც მტრული განწყობილება ჰქონდა მუშათა ორგანიზაციებთან. მეორე მიზეზი ძალ-მომრეობისა, კორესპონდენტის აზრით, ის იყო, რომ ლოძის მექარხნეებმა ამას წინად ეგრედ-წოდებული ლოკაუტი გამოაცხადეს, ესე იგი შეთანხმდნენ და ერთბაშად დახურეს თავისი ქარხნები. ამ ლოკაუტის გამო 150 ათასამდე მუშა უსაქმოდ დარჩა, რამაც დიდი აური-ზაური და პარტიული უთანხმოება ჩამოაგდო მუშათა შორის, შიმშილითა და პარტიული ვიწრო ფანატიკოსობით გამოწვეული; ყველა ამას დაერთო სხვა და სხვა სარწმუნოების მუშათა შორის არსებული სიძულვილი; მარიავიტებს, მწვალებლებს, რომლებიც კათოლიკე ეკკლესიას გადუდგნენ და უფრო მოწინავე მიმართულებისა არიან, ებრძვის კათოლიკე სამღვდელოება, კავშირებს ადგენს მუშათა შორის და სამწუხარო მტრობისათვის ნიადაგს ამზადებს.

ყველა ამ ჩამოთვლილმა მიზეზებმა შექნეს ის ნიადაგი, რომელზედაც იფეთქა ლოძში მტრობამ მუშათა შორის.

✦ **მთავრობის მზრუნველობა.** საერო განათლების სამინისტრო კარგა ხანია თვალ-ყურს ადევნებს სახალხო სკოლების მასწავლებელთა თვითეულ ნაბიჯს, სასტიკად ავალებს ამათ პოლიტიკურ კეთილ-საიმედობას და მთავრობის მომხრეობას; ამ ბოლო დროს კი საერო განათლების სამინისტრომ კიდევ უფრო გააძლიერა თავისი მზრუნველობა და სახალხო სკოლების დირექტორებს მიმართა განკარგულებით მასწავლებლების არა მარტო პოლიტიკურ კეთილ-საიმედობას, არამედ მართლ-მადიდებელ ეკკლესიის ერთგულებასაც თვალ ყური ადევნონ და ადგილობრივ მღვლებისაგან ცნობები შეკრიბონ იმის შესახებ, თუ რამდენად მტკიცედ იცავენ მასწავლებლები საეკკლესიო წესებს, როგორ ბეჯითად დადიან ეკკლესიაში და სხვა.

✦ **სინოდის განკარგულება.** უუწმინდესმა სინოდმა თავის ხელქვეით სამღვდელოებას მიმართა განკარგულებით, თვალ-ყური ადევნონ, რათა სასულიერო სასწავლებლებმა არ გამოიწერონ ის გაზეთები, სადაც დაწვრილებით მოთავსებულია სათათბიროს დეპუტატების სიტყვები და ნება მისცენ მხოლოდ მთავრობის მომხრე გაზეთების გამოწერისა, როგორიც მაგალითად „მოსკოვ. ვედ.“-ი „სვეტ“ და სხ. სასულიერო მოძღვართ სინოდი ავალებს აგრეთვე აუკრძალონ თავის მოწაფეთ სათათბიროს დეპუტატების სახელობაზე დეპეშის გზავნა.

✦ **მონარხისტთა კრება.** 25 აპრილისათვის დანიშნულია მოსკოვში კრება სრულიად რუსეთის მონარქისტთა, რევოლიუციასთან მებრძოლ პარტიისა, უფლებრივი წესიერების პარტიის და რუსთა კავშირის წარმომადგენელთა კრება, რომელიც ორ კვირას გასტანს. გაიმართება პატრიოტული პროცესსიები დროშებით და სხ.

✦ **პეტერბურგის მცხოვრებთა „გაწმენდა“.** სატახტო ქალაქის გრადონაჩალნიკმა ბრძანება მისცა პოლიციის მოხელეებს, დაწვრილებითი ცნობები შეკრიბონ იმის შესახებ, თუ როგორ და რითი ცხოვრობს პეტერბურგის თვითეული მკვიდრი. ადმინისტრაციას განზრახვა აქვს ყველა ისინი, ვისაც რაიმე თანამდებობა ან ცხოვრების სხვა რამ თვალსაჩინო წყარო არა აქვს, პეტერბურგიდან განდევნოს და რუსეთის დიდ ქალაქებში ცხოვრება აუკრძალოს.

✦ **იუნკერის დასჯა.** ოდესსის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე იუნკერის შპირკანის შესახებ, რომელსაც ჰბრალდებოდა იუნკერთა შორის მთავრობის საწინააღმდეგო ნაწერების გავრცელება. პალატამ ვერავითარი საბუთი ვერ გამოსძებნა ბრალდებულის დასასჯელად და გაამართლა იგი. მაშინ იუნკერთა სასწავლებლის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა გრადონაჩალნიკის წინაშე, პალატამ უსაფუძვლოდ გაამართლა იუნკერი შპირკანი და გთხოვთ იმის საქმე სამხედრო სასამართლოს გადასცეთო. გრადონაჩალნიკმა თხოვნა აასრულა. იუნკერი შპირკანი სამხედრო სამართალში მისცეს და ერთი წლით დისციპლინალურ ბატალიონში გაგზავნა მიუსაჯეს.

კიდევ ექიმ ქანანოვის შესახებ
(წერილი რედაქციის მიმართ)

(დასასრული *)

ახლა, მკითხველო, დაუკვირდი შემდეგს: გამგედ ქანანოვი იყო, ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა იმის ხელში იყო; იმან იცოდა, ვისთვის რამდენი უნდა გამოეწერა. ხშირად ბავშვი ერთი და ორი თვე მკვდარი იყო და ძიძას-კი ჯამაგირს უწერდნენ... იწერდა იმისთანა ძიძებისთვის, რომელნიც არ მოვიდნენ. კარგად იცოდა ისიც, სად უნდა თითონ მოეწერა და სად ბებიებს და ძიძებს, ორასზე მეტი ძიძა იყო. თუ იმათში ვინმეს ოდესმე ხელი მოუწერია და მერე უარი უთქვამს და იმის მაგიერ ჩვენ მოგვიწერია, ეს რა ჩვენი ბრალია! საიდან უნდა გვცოდნოდა, იცოდნენ თუ არა წერა. ეს უფრო ქანანოვს უნდა სცოდნოდა, რადგან 17—18 წელიწადი მსახურობს და ყველა ძიძამ იმის ხელში გაიარა. ზემოდ ვთქვით, რომ ექიმ ქანანოვს ფული მიჰქონდა ვითომ და ძიძებისთვის გადასაცემათ, თანაც აწერდა ხელსაც. ამას ამტკიცებენ თვით ქანანოვის მოწმენი. ძიძებიც ჩიოდნენ ფულის მიუღებლობ ზედ. მომყავს აქ ზოგიერთ მოწამე-ძიძების ჩვენილი.

მოწმე მარიამ ვაჩარიძე: ხუთის წლის წინად ვიყავი ძიძად; არ მიმიღია ჯამაგირი ხუთი თვისა, დანარჩენ დროსი კი სულ მივიღე. ზოგჯერ იღებდა ჩემი ქმარი და ბილეთიც ჰქონდა, მაგრამ უკანასკნელ დროს მე ქმართან ვიყავი მომდურებული (ერთათ არა სცხოვრობდნენ) და იმას არ შემლო ჩემ მაგიერ მიეღო ფული და არც ბილეთი იყო მაშინ ჩვენთან.

როგორც კომისიის პროტოკოლში სწერია, მართლა გამოწერილი ყოფილა ფული მარიამ ვაჩარიძეს სახელზე. ხელი უწერია ექიმ ქანანოვს, რომ მიუღია გადასაცემად ვაჩარიძისთვის. ძიძას აქამდის არ მიუღია ფული.

მოწმე ანნა ტორეზოვი; ბავშვი მომიკვდა. გამოუცხადე ქანანოვს სიკვდილი ბავშვისა და იმან მომცა სამი მანეთი დასამარხი. მერე მოველ ჯამაგირის სათხოვნად და ქანანოვმა მითხრა, მოიტანე მოწმობა სიკვდილისა და მაშინ მიიღებ ჯამაგირსაც და მერე ბავშვსაც, მაგრამ მერე არც ფული მომცა და არც ბავშვი, მარტო დამიწყო ყვირილი. მაშინ თუმანს გვაძლევდნენ მუშუთა ბავშვზედ. მე შვიდი მანეთი არ მიმიღია.

მოწმე მარიამ ჩიაურელი: ძიძად ვიყავი; ჯამაგირს ვიღებდი სამი თვე. ეს იყო ათი წლის წინად. სამი თვის შემდეგ, ქანანოვის წინადადებით, ავიყვანე შვილათ, (აქ მთელი ისტორია უამბო, როგორ ძალით ააყვანინა), მაგრამ დამტკიცების ქაღალდები შვიდი წლის შემდეგ მივიღე.

დოკუმენტებიდან მტკიცდება, რომ ამ ძიძაზედ მთელი წელიწადი იწერდა ჯამაგირს და ვითომ თითონვე ძიძა აწერდა ხელს. თავის ხელის მოწერაზედ ძიძა უარზეა და მზად არის დაამტკიცოს მოწმობით, რომ მეტი არ მიუღია.

ეხლა მოვიყვან დოკუმენტებს, რომლის გარდაცვლილან ბავშვები და ჯამაგირი რამდენისა გამოუწერიათ:

1899 წლის ბავშვები: ბავშვები № 1700 გარდაიცვალა 25 იანვარს—გამოწერილი 10 მ., № 1767, გარდაიცვალა 20 იანვარს—გამოწერილია 10 მ. (ესე იგი ოცი დღის ნაცვლად სრული თვისა) № 1779 გარდაიცვალა ქანანოვის წიგნში აღნიშნულ რიცხვს 17 აპრილს; დასაფლავებულია მდვდლის მოწმობით 16 მარტს. გამოწერილია მარტისა და აპრილისა ათ-ათი მანეთი № 1777. გარდაიცვალა 25 თებერვალს—გამოწერილია თებერვლისა და მარტისა ათ-ათი მანეთი. № 1784 გარდაიცვალა ქანანოვის რიცხვით 23 მარტს, დასაფლავებულია მდვდლის მოწმობით 18 მარტს, გამოწერილია 10 მ. № 1789 გარდაიცვალა ქანანოვის რიცხვით 24 ენკენისთვეს, დასაფლავებულია მდვდლისაგან 10 ენკენისთვეს; გამოწერილია 10 მ. № 1769 გარდაიცვალა ქანანოვის რიცხვით 23 თებერვალს, დასაფლავებულია მდვდლის მოწმობით 10 თებერვალს, გამოწერილია 10 მან. № 1798 გარდაიცვალა 18 თებერვალს, გამოწერილია თებერვლისა და მარტისა ათ-ათი მანეთი. № 1802 გარდაიცვალა 22 მარტს, დასაფლავებულია 15 მარტს, გამოწერილია 10 მანეთი. № 1810 გარდაიცვალა ქანანოვის რიცხვით 24 ივლისს, დასაფლავებულია 20 ივლისს, გამოწერილია 10 მანეთი. № 1825 გარდაიცვალა 15 აპრილს, გამოწერილია 10 მან. № 1857 გარდაიცვალა 28 ოქტომბერს, ნოემბერში გამოწერილია ოქტომბრისა 10 მ. და დეკემბერშიაც გამოწერილია კიდევ ათი მანეთი. № 1877 ქანანოვის რიცხვით გარდაიცვალა 27 დეკემბერს, დასაფლავებულია მდვდლის მოწმობით პირველ დეკემბერს, მიდებულია 23 ნოემბერს. სულ უცოცხლია 8 დღეს, თუმცა გამოწერილია ერთი თვისა და 17 დღისა. № 1933 გარდაიცვალა ქანანოვის რიცხვით 25 დეკემბერს, დასაფლავებულია 2 დეკემბერს, გამოწერილია 10 მანეთი. ამ შემთხვევაში ყველგან ფულის მიღებაზე ხელი უწერია თითონ ქანანოვს.

ამისთანა ამბები სხვა წლებშიაც მოხდა. მოგვყავს უფრო შესანიშნავი;

№ 2300 მიგდებული 12 ივნის 1903 წელს გარდაიცვალა 24 ივნის ამავე წელს—გამოწერილია ივნისში 18 დღისა, ივლისში 9 მან; რადგან ძიძა არ გამოცხადდა, გაგზანილია ხაზინაში; № ქაღალდისა 23090. ნოემბერში გამოწერილია ამ ბავშვზედვე: ივლისისა, აგვისტოსი, სექტემბრისა, ოქტომბრისა, და 5 დღის ივნისისა. № 2372 გარდაიცვალა 2 აპრილს 1904 წ. გამოწერილია 9 მან. № 2454 გარდაიცვალა პირველ იანვარს 1905 წ. გამოწერილია იანვრისა 9 მან. № 2518 ქანანოვის რიცხვით გარდაიცვალა 23 ივლის, დასაფლავებულია 15 ივლის 1905 წ. გამოწერილია ივლისში 9 მ. აგვისტოში 9 მ. და სექტემბერს გამოწერილი—კი 9 მ. გაგზავნილია უკან ხაზინაში, რადგან ძიძა არ გამოცხადდა.

თუმცა ბევრია მომჩივანი, რომ ფული არ მიგვიღიაო, მაგრამ მომყავს დოკუმენტებიდან სამი ძიძის საჩივარი: ეკატერინეიარალოვისას ბავშვი № 1358 აუყვანია 1893 წელს თებერვალში, უღია სამი წელიწადი. 1896 წლის პირველ თებერვლამდის (ასე ამბობს თავის თხოვნაში). მაგრამ უკანასკნელად ფული-კი გამოწერილია 1896 წ 1 ენკენისთვეში. იქვსი თვე მეტი გამოდის.

მარიამ ჭავჭავაძეს (ჩიაურელი) № 1531 აუყვანია 1895 წ. 19 აპრილს. ფული ქანანოვს უძლევია, ძიძა ჩივის, სულ სამ თვეს, ვამოწერილი კია უკანასკნელად 1896 წ. მარტში. მოწერილია ქართულად, ვითომ თითონ ძიძას მოეწეროს. ძიძა უარს ამბობს თავის ხელის მოწერაზედ.

ეკატერინე მირზახარეოვისა № 1338 აუყვანია 1892 წელს 10 ნოემბერს. ფული უღია ორი წელიწადსა და შვიდ თვეს, ესე იგი 1895 წლის ივლისამდე, გამოწერილი კია უკანასკნელად 1896 წ. დვინობისთვეში, ესე იგი 15 თვე მეტი.

ჩემი წერილი უიმისოდაც გაგრძელდა, ამიტომ ვათავებ. რათა ყველაფერი უფრო ნათლად გამოირკვეს და გამოაშკარავდეს, ვიწვევ ექიმ ქანანოვს სამედიატორო სამართალში. საჭიროა სამედიატორო სასამართლომ ყველა დოკუმენტები გასინჯოს. ბევრი ქანანოვის ხელშია, ზოგი ეხლა ჩვენცა გვაქვს. უნდა გამოვკითხოთ ძიძებსაც. საბასუხოდ—გამოგზავნეთ თუ არა ქანანოვი სამართალში,—ვადას ვდებ სამ დღეს.

ქსოვან თუხარელი.

*) იხ. „ისარი“ № 82.

დეპეშა
(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 აპრილი.

პეტერბურგი სენატის პირველმა დეპარტამენტმა დაადგინა, პასუხის გებაში მისცეს საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის დირექტორი თავ. გაგარინი, ინსტიტუტის გამგეობის, ოთხი წევრი და პროფესორი სტანევიჩი; დაადგინა აგრეთვე—წინადადება მიეცეს ვაჭრობის მინისტრს პასუხის გებაში იქმნას მიცემული ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის გამგის თანაშემწე მათუსევიჩი.

ლონდონი. სტატს-სეკრეტრმა ბიროლმა საზოგადოებათა პალატას შეატყობინა, რომ ირლანდიის საბჭოს დაარსების შესახებ ბილლი პარლამენტში 24 აპრილს იქნება შემოტანილიო.

ლოძი. 11 აპრილს შეიკრიბა მუშათა დელეგატების კონფერენცია; დაესწრო 500 კაცი. ხუთ საათს ითათბირეს იმაზე, თუ რა ზომები მიიღონ მუშების ერთიერთ ხოცვა-ყლეტის წინააღმდეგ. სხვათა შორის გამოარკვიეს, რომ მუშებს უფლება არა აქვთ გააძევონ ამხანაგი ფაბრიკა-ქარხნიდან ან პოლიტიკურ ან სარწმუნოებრივ რწმენისათვის. შეუძლებელია ამა თუ იმ პირის ძალით პარტიის წევრად ჩაწერა. ფაბრიკებში მუშებს აღეკრძალებათ იქონიონ რაიმე იარადი. თითოეულ ფაბრიკაში უნდა დაარსდეს კომისია, რომელმაც უნდა გაარჩიოს მუშათა შორის ატეხილი უკმაყოფილება.

ორენბურგი. ჩელიაბინსკის საპატიმროს პირველი კორპუსი (შენობა) დაიწვა. ამბობენ ცეცხლი განზრახ მოუკიდესო. კაცთაგან არავინ დაშავებულა.

სევასტოპოლი. ფულის უქონლობის გამო ნავთ-სადგურის კაბიტანმა ბრძანება გასცა, დაითხოვონ ზედ-მეტი მუშები და სამუშაო დღეც კვირაში ხუთამდე შეამცირონ. დაითხოვეს ათასზე მეტი მუშა.

მოსკოვი. 11 აპრილს საღამოთი კრასნი ვოროტასთან ორ მძარცვავს პოლიცია აედევნა. ერთი მიიმალა, მეორემ სროლა ასტეხა და როცა ხარიტონოვის ვიწრო ქუჩას მიუახლოვდა, ერთი მეეზოვე ძმიმედ დაჭრა. პოლიციელები არ მოეშვნენ და ის იყო უნდა დაეჭირაო, რომ მან თავი მოიკლა.

ბრესლ-ლიტოვსკი. დაჭირეს მძარცავ ბრბოს 10 წევრი. დაჭერილთაგანნი ეკუთნიან ლიუბლინის, კრასნოსტავსკის და ხოლმის მაზრების სარევოლიუციო მებრძოლ ორგანიზაციას. შეპყრობილთა შორის მეთაური ჩერვინსკიც არის. ერთი შეპყრობილთაგანი დელემბოვსკი მოჰკლეს, რადგან წინააღმდეგობის გაწევა მოინდომა და დარაჯი დაჭრა. უკანასკნელად მათ მემამულე ფლიოროკოვსკი გასძარცვეს, რომელსაც 9000 მანეთი წაართვეს.

ხარკოვი. 12 აპრილს ბაზარზე ათასობით დიდი ბრბო დაეცა სამხრეთ გზების ალექსანდროვსკის სადგურს, ხელოსნებს კარდაჯრებს ქვები დაუშინეს. დარაჯები მიეშველნენ და ბრბო გაფანტეს.

კურსკი. ტოსკოვსკის ქუჩაზე დაჭრილი ინჟენერი სტაროდუმოვი 12 აპრილს გარდაიცვალა.—11 აპრილს პარტიულ ნიადაგზე მოჰკლეს ორი მუშა და დასჭრეს ერთი. სადამოზე ქუჩაში მოჰკლეს ერთი მუშა.

რეველი. რეველის ლითონის ქარხნის მუშებმა ქარხნის პატრონს შვიდი საათის სამუშაო დღე მოსთხოვეს. შაბათს ქარხნის დირექციამ ყველა (500) მუშას ანგარიში გაუსწორა.

14 აპრილი.

ბაქო. ექსპორტერებმა (ნავთის გამგზავნელებმა) ხელი მოაწერეს პირობას, რომ გარდასცემენ 45 მილიონ ფუთ ნავთის გადატანისათვის ერთ კაბეიკს და ერთ მეოთხედს თითო ფუთში. თუ გაფიცვა არ გათავდა 13 აპრილის სადამოს 9 საათამდის, პირობის ძალა დაეკარგება. გემის პატრონნი ვალდებულნი არიან იყოლიონ სრული კომანდა ზამთრობითაც. კომანდები ამ პირობით კმაყოფილნი არიან, მხოლოდ გემების უფროსები ამბობენ უარს მუშაობის დაწყებაზე.

მადრიდი. პარლამენტში აირჩიეს 256 კონსერვატორი, 61 ლიბერალი, 8 დემოკრატი, 32 რესპუბლიკელი, 16 კარლისტი.

მინსკი. ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვის საქმის გამო მოწმეთა ჩვენების ჩამოართმევას შეუდგნენ.

პეტერბურგი. სამ საათზე ამოიღეს ჩაძირული გემი «არხანგელსკი», რომელზედაც ოთხი დამხრჩვალის გვამი იპოვნეს.

ოდესსა. საპატიმროს უფროსის მკვლელმა სთქვა, ანარქისტი დრაგომიროვი ვარო; საპატიმროს უფროსი ავიწროვებდა პოლიტიკურ ტუსაღებს და ამიტომ მოვკალიო. მეორე მკვლელი, რომელმაც თავი მოიკლა, ანარქისტი იაროშევსკი აღმოჩნდა.

ირკუტსკი. სადგურ ჩიტაზე სამხედრო დარაჯებს, რომელნიც ფულიან ყუთს იცავდნენ, შეიარაღებული კაცები დაეცნენ. ორი ჯარის-კაცი და ერთი მეარტელე დასჭრეს. ფული უკლებადაა. მძარცავები მიიმალნენ. იქვე სახალხო მატარებელს დაეცნენ, რომელიც ირკუტსკისაკენ მიდიოდა. 30-ჯერ ესროლეს. ფოსტა უკლებადაა. არავინ არ დაჭრილა.

ლოძი. ბაბიანიცში მოჰკლეს ორი საერობო დარაჯი. მკვლელნი მიიმალნენ.

რედაქტორ-გამომცემელი
ივ. ი. მჭედლიშვილი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ



ოდოლი არის პირველი და ერთადერთი საშვალება, რომელიც წმინდათ ინახავს კბილებსა და ღრძილებს, საუკეთესოდ ეწინააღმდეგება კბილების გახრწნას. ეს თვისება ოდოლისა აიხსნება იმით, რომ იგი შედის გაფუჭებულ კბილებსა და ღრძილში, ავსებს მათ, სტოვებს შიგ მარგებელ ნაწილებს. ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ მაშინ როდესაც სხვა საშვალებანი მოქმედებენ მხოლოდ ხმარების დროს, ოდოლი მოქმედებს ხმარების შემდეგ კიდევ რამდენსამე საათის განმავლობაში.

ოდოლი ავსებს გაფუჭებულ კბილებს და ღრძილებსაც, სტოვებს იქ ანტისეპტიკურ ნაწილებს და ამიტომ ხმარების შემდეგაც რამდენსამე საათში არ ჰკარგავს თავის ძალას. ეს შესანიშნავი თვისება ოდოლისა საიმედო დამცველია კბილებისა გახრწნისაგან და ინახავს მათ სისაღეს.

ოდოლი ისყიდება აფთიაქებსა და ყველა საუკეთესო საფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში 1 მან. და 50 კაპ. ერთი ფლაკონი, რომელიც რამდენისამე თვის სამყოფია.

(2—№ 15—1) (Метцлъ и К° 253977)

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ
ძალიან იაფათ
ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

სხვა და სხვა ფორმის ძეგლები და სასაფლაოს ქვები. ჩვეულებრივზე 50% ნაკლებად.

სახელოსნო ს. რიჩჩისა, მიხაილოვის ქუჩა, ს ხლი № 127. (10—ხაო—2)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ
კიწმარიშვილის და ამხ.

თესლეულობის კანტორამ

მიიღო დიდ-ძალი იონჯის, კოინდრის, სამყურის, ჰურის, ეკლის ხის, ბეოლის და ყოველგვარ ბოსტნეულობის და ყვავილების თესლეულობა. პრეისკურანტები ყველას უფასოდ. (30—ფ.—22)